საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ახმეტა“

„ახმეტა“, ბუნებრივად ტკბილი თეთრი ღვინო. ამზადებენ ახმეტის მუნიციპალიტეტში გავრცელებული ვაზის ჯიშის - მწვანის - ყურძნისაგან. შეიცავს 9,5 – 11,5% (მოცულობითი) სპირტს, 3 – 5% შაქარს, საერთო მჟავიანობა 5,5 – 7,5 *გ/დმ* ^{3}. გამოირჩევა ღია ჩალისფერი-მომწვანო ელფერითა და ყვავილოვანი ტონების ორიგინალური არომატით. საერთაშ. კონკურსებზე მინიჭებული აქვს ერთი ოქროსა და 6 ვერცხლის მედალი.

ა. სირბილაძე